შპს “საქმე.ჯი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა 7
2. მომზადების საფუძველი 7
2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება) 8
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 15
5. შემოსავალი მომსახურებიდან 16
6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 16
7. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 17
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 18
9. ფული და ფულის ექვივალენტები 18
10. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 18
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 18
12. პირობითი ვალდებულებები 18
13. ფინანსური რისკი 19
14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 21
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 21

შპს "საქმე.ჯი "
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

		2024	2023
შემოსავალი მომსახურებიდან	5	**2,878,462**	**2,422,402**
საერთო მოგება		**2,878,462**	**2,422,402**
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,587,155)	(1,139,950)
საოპერაციო მოგება		**1,291,307**	**1,282,452**
საპროცენტო შემოსავალი		7,242	5,914
მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		(2,442)	(2,633)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(10,000)	-
მოგება დაბეგვრამდე		**1,286,107**	**1,285,733**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**1,286,107**	**1,285,733**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 29 სექტემბერი:

ნიკოლოზ ჯაფარიძე
დირექტორი: _____

ნათია მუზაშვილი
მთავარი ბუღალტერი: _____

შპს "საქმე.ჯი "
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

		2024	2023
შემოსავალი მომსახურებიდან	5	2,878,462	2,422,402
საერთო მოგება		**2,878,462**	**2,422,402**
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,587,155)	(1,139,950)
საოპერაციო მოგება		1,291,307	1,282,452
საპროცენტო შემოსავალი		7,242	5,914
მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		(2,442)	(2,633)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(10,000)	-
მოგება დაბეგვრამდე		**1,286,107**	**1,285,733**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**1,286,107**	**1,285,733**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 29 სექტემბერი:

ნიკოლოზ ჯაფარიძე
დირექტორი:

ნათია მუზაშვილი
მთავარი ბუღალტერი:

დართული შენიშვნები 7-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

		31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	**7**	15,035	19,420	16,312
არამატერიალური აქტივები	**7**	1,652,410	1,240,949	745,844
გაცემული სესხები		31,568	29,062	26,562
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1,699,013**	**1,289,431**	**788,718**
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები		259	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**8**	35,795	54,262	48,831
ფული და ფულის ექვივალენტები	**9**	40,654	38,250	19,550
საგადასახადო აქტივები	**10**	57,882	18,920	23,777
სულ მიმდინარე აქტივები		**134,590**	**111,432**	**92,158**
სულ აქტივები		**1,833,603**	**1,400,863**	**880,876**
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**11**	18,492	17,309	18,746
მიღებული ავანსები		2,304	2,304	-
საგადასახადო ვალდებულებები	**10**	420	1,970	581
სულ ვალდებულებები		**21,214**	**21,581**	**19,327**
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		126,125	126,125	126,125
გაუნაწილებელი მოგება		400,157	(32,577)	(133,345)
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)		1,286,107	1,285,733	868,768
სულ საკუთარი კაპიტალი		**1,812,389**	**1,379,282**	**861,549**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 29 სექტემბერი:

ნიკოლოზ ჯაფარიძე
დირექტორი: _____

ნათია მუზაშვილი
მთავარი ბუღალტერი: _____

შპს "საქმე.ჯი "
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

		31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	15,035	19,420	16,312
არამატერიალური აქტივები	7	1,652,410	1,240,949	745,844
გაცემული სესხები		31,568	29,062	26,562
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,699,013	1,289,431	788,718
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები		259	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	35,795	54,262	48,831
ფული და ფულის ექვივალენტები	9	40,654	38,250	19,550
საგადასახადო აქტივები	10	57,882	18,920	23,777
სულ მიმდინარე აქტივები		134,590	111,432	92,158
სულ აქტივები		1,833,603	1,400,863	880,876
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	18,492	17,309	18,746
მიღებული ავანსები		2,304	2,304	-
საგადასახადო ვალდებულებები	10	420	1,970	581
სულ ვალდებულებები		21,214	21,581	19,327
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		126,125	126,125	126,125
გაუნაწილებელი მოგება		400,157	(32,577)	(133,345)
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)		1,286,107	1,285,733	868,768
სულ საკუთარი კაპიტალი		1,812,389	1,379,282	861,549

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 29 სექტემბერი:

ნიკოლოზ ჯაფარიძე
დირექტორი:

ნათია მუზაშვილი
მთავარი ბუღალტერი:

დართული შენიშვნები 7-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური აწგარიშგების განუყოფელი ნაწილია

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	**126,125**	**735,423**	**861,549**
მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალი	-	1,285,733	1,285,733
დივიდენდი	-	(768,000)	(768,000)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
31 დეკემბერი 2023	**126,125**	**1,253,156**	**1,379,282**
მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალი		1,286,107	1,286,107
დივიდენდი	-	(853,000)	(853,000)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
31 დეკემბერი 2024	**126,125**	**1,686,263**	**1,812,389**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 29 სექტემბერი:

ნიკოლოზ ჯაფარიძე
დირექტორი: _____

ნათია მუზაშვილი
მთავარი ბუღალტერი: _____

შპს "საქმე.ჯი "
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერისა და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	126,125	735,423	861,549
მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალი	-	1,285,733	1,285,733
დივიდენდი	-	(768,000)	(768,000)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
31 დეკემბერი 2023	126,125	1,253,156	1,379,282
მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალი		1,286,107	1,286,107
დივიდენდი	-	(853,000)	(853,000)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
31 დეკემბერი 2024	126,125	1,686,263	1,812,389

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 29 სექტემბერი:

ნიკოლოზ ჯაფარიძე
დირექტორი:

ნათია მუზაშვილი
მთავარი ბუღალტერი:

დართული შენიშვნები 7-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	3,146,903	2,757,052	2,002,372
გადახდილი ვალდებულებები	(1,032,597)	(754,425)	(515,792)
გადახდილი გადასახადები	(515,471)	(412,085)	(295,807)
სხვა	-	(290)	-
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	**1,598,835**	**1,590,252**	**1,190,773**
საინვესტიციო საქმიანობები	-	-	-
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(745,708)	(804,333)	(379,219)
სესხის ძირის გაცემა	-	-	(25,000)
მიღებული პროცენტი	4,735	3,415	1,798
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	**(740,973)**	**(800,919)**	**(402,422)**
დივიდენდის გაცემა	(853,000)	(768,000)	(809,715)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	**(853,000)**	**(768,000)**	**(809,715)**
ფული და ფულის ექვივალდენები 1 იანვრის მდგომარეობით	**38,250**	**19,550**	**42,290**
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	4,862	21,334	(21,363)
კურსთაშორის სხვაობის შედეგი	(2,459)	(2,633)	(1,376)
ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**40,654**	**38,250**	**19,550**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 29 სექტმბერი:

ნიკოლოზ ჯაფარიძე
დირექტორი: _____

ნათია მუზაშვილი
მთავარი ბუღალტერი: _____

შპს "საქმე.ჯი "

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	3,146,903	2,757,052	2,002,372
გადახდილი ვალდებულებები	(1,032,597)	(754,425)	(515,792)
გადახდილი გადასახადები	(515,471)	(412,085)	(295,807)
სხვა	-	(290)	-
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	**1,598,835**	**1,590,252**	**1,190,773**
საინვესტიციო საქმიანობები	-	-	-
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(745,708)	(804,333)	(379,219)
სესხის ძირის გაცემა	-	-	(25,000)
მიღებული პროცენტი	4,735	3,415	1,798
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	**(740,973)**	**(800,919)**	**(402,422)**
დივიდენდის გაცემა	(853,000)	(768,000)	(809,715)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	**(853,000)**	**(768,000)**	**(809,715)**
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	38,250	19,550	42,290
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	4,862	21,334	(21,363)
კურსთაშორის სხვაობის შედეგი	(2,459)	(2,633)	(1,376)
ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	**40,654**	**38,250**	**19,550**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 29 სექტმბერი:

ნიკოლოზ ჯაფარიძე

დირექტორი:

ნათია მუზაშვილი

მთავარი ბუღალტერი:

დართული შენიშვნები 7-30 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

(ა) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს "საქმე.ჯი " (შემდგომში „კომპანია") დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2017 წლის 29 მარტს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანიის საიდენთიფიკაციო ნომერია: 405198860.

მშობელი კომპანიის დამფუძნებლები და საბოლოო მესაკუთრეები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომაროებით წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	მფლობელობა %
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ლემონდუ გროუს კაპიტალი, 405196817	30%
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ნიუსრუმი, 404877941	70%

კომპანიის სარეგისტრაციო მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ქუჩა იოსებიძის , N 49, (ნაკვ.17/1) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქუთათელის (ყოფ.შჩორსის) , N3

ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტში კომპანიის დირექტორი არის ნიკოლოზ ჯაფარიძე.

(ბ) ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი

ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს-ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

2024 წლის 31 დეკემბრის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის სტანდარტების შესაბამისად. კომპანია მსს ფასს-ის დანერგვაზე გადავიდა 2023 წლის 1 იანვრიდან. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მსს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის შედეგად მატერიალური კორექტირებები არ განხორციელებულა

ანგარიშგების მომზადების მიზანია შესაბამისობა რეგულატორულ მოთხოვნებთან.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს (პირდაპირი მეთოდით) და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია მსს ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში. ორგანიზაცია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია (გაგრძელება)

მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინფორმაციის კლასიფიცირება ხდება მიმდინარე და გრძელვადიანობის საფუძველზე

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებით აღრიცხვის წესით, ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ლარი, რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ათასებამდე.

(ე) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

(ა) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი.უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად.უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსთვის.კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, ისტორიული ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება ან ზარალი წერმოდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრულ შემოსავლის ანგარიშგების მუხლში „წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან" ნეტო სიდიდით.
საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელის გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
1 დოლარი	2.8068	2.6894
1 ევრო	2.9306	2.9753

(ბ) შემოსავლის აღიარება

(ა) შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები.შემოსავლის განსაზღვრა ხდება მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ბ) შემოსავლის აღიარება (გაგრძელება)

ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

(ბ) საპროცენტო შემოსავლები საბანკო დეპოზიტებიდან საბანკო დეპოზიტებიდან გამომუშავებული საპროცენტო შემოსავლების გაანგარიშება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება საკასო მეთოდით საბანკო ანგარიშზე შესაბამისი თანხის მიღების მომენტისათვის.

საოპერაციო ხარჯები ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

(გ) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურლებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტინის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანია დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

(დ) მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადი წარმოიშვება არა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამომუშავებულ მოგებაზე, არამედ მოგებაზე რომლის განაწილებაც მოხდება დივიდენდებად. დივიდენდის განაწილებისას გადასახდელი მოგების გადასახადის ოდენობა განისაზღვრება განაწილებული მოცულობის 15/85-ით. დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდება საბოლოოდ დივიდენდების გაცემა. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

(ე) გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

(ვ) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფიშეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ- ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ვ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ხარჯებს, რომელიც გათვალსიწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზრიდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

აქტივად აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულების მოდელით, წრფივი დაგროვილი ცვეთით ან/და გაუფასურების ღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ძირითადი საშულების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
შენობა-ნაგებობები	20-40 წელი
მანქანა დანადგარები და აღჭურვილობა	2-25 წელი
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	2-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	3-30 წელი
მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა	არ იცვითება

საჭიროების შემთხვევაში ყოველი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ხდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც ჯგუფიმიიღებდა აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხედება და თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

(ზ) არამატერიალური აქტივი

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები ფასდება მათი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ხდება მისი შეფასება გაუფასურებაზე როდესაც არსებობს ნიშანი, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურდეს. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამტერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(თ) არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები და არამტერიალური აქტივები განიხილება, რათა

დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(თ) არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღაირებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის თვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

(ი) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღირება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაცკომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი

გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

კომპანიის ხემძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად „ამორტიცირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები" (სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები, საკონტრაქტო აქტივები და ფულს და ფულის ეკვივალენტები) და „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით" (ინვესტიციები წილობრივ ინსტუმენტებში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ი) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით

კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცუხლი პროცენტის გადახდებს.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული გაცემული სესხები

მოცემული აქტივები წამოიქმნება მომხმარებლისთვის სესხების გაცემიდან, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული

გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. „ეფექტური საპროცენტო განაკვეთი" არის განაკვეთი რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ მოხმარების ვადაზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება

სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო

მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები და საკონტრაქტო აქტივების აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

გაუფასურების რეზერვი გაცემულ სესხებზე აღიარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით. კომპანია ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ფინანსური აქტივის საწყის აღიარებასთან შედარებით. იმ შემთხვევაში თუ ადგილი არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, კომპანია აფასებს 12 თვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს სრულ საპროცენტო შემოსავალს. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება სრული საპროცენტო შემოსავალი. საკრედიტოდ გაუფასურებული სესხებისთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება წმინდა საპროცენტო შემოსავალი.

ფინანსური ვალდებულებები

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ი) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

მიზნიდან გამომდინარე, კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები, საწყისი აღიარებისას, შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური

ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

(კ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(კ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები (გაგრძელება)

ყოველ საანგარიშო თარიღზე, სასაქონლო-მატერილური მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

(ლ) დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

(მ) ანარიცხები

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:
- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ნ) მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინდივიდუალურად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმვალობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გმოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორ გრძელვადიანი აქტივები.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ნ) მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები (გაგრძელება)

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმვალობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

(ო) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საექსპლუატაციო ვადები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას თუ სხვა რამ არ არის მითითებული სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებში. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიაფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე

რეალური ღირებულების განსაზღვრა და შეფასების პროცესი

წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციები შეფასებულია რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულების განსაზღვრაში გამოყენებული მონაცემები წარმოადგენს არადაკვირვებად მონაცემებს და შეფასება განხორციელდა რეალური ღირებულების განსაზღვრის იერარქიაში მე-3 დონის ინფორმაციის საფუძველზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

5. შემოსავალი მომსახურებიდან

შემოსავალი მომსახურებიდან მოიცავს შემოსავალს განცხადებებიდან და რეკლამებიდან 2024: 2,878,462 (2023: 2,422,402 ლარი)

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	**2023**
თანამშრომელთა ანაზღაურება	(682,336)	(545,594)
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯი	(426,910)	(282,782)
ცვეთა და ამორტიზაცია	(224,880)	(127,784)
მომსახურების ხარჯი	(104,857)	(64,900)
ბანკის საკომისიო	(58,505)	(48,675)
იჯარა და კომუნალურები	(55,097)	(54,304)
სხვა ხარჯი	(34,570)	(15,911)
	(1,587,155)	**(1,139,950)**

7. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

კომპანიის ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები მოიცავს:

	კომპიტერული ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ ძირითადი საშუალებები	არამატერიალური აქტივები
საბალანსო ღირებულება				
იანვარი 1, 2023	**15,584**	**9,279**	**24, 863**	**944,689**
მატება	4,921	3,124	8, 045	617,952
კლება	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2023	**20,505**	**12,402**	**32, 907**	**1,562,641**
მატება	652	-	652	631,304
კლება	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2024	**21,157**	**12,402**	**33,559**	**2,193,945**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება				
იანვარი 1, 2023	**(6,367)**	**(2,184)**	**(8,551)**	**(198,845)**
მიმდინარე წლის ცვეთა	(3,152)	(1,785)	(4, 937)	(122,847)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2023	**(9,519)**	**(3,969)**	**(13, 488)**	**(321,692)**
მიმდინარე წლის ცვეთა	(3,133)	(1,904)	(5, 037)	(219,844)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2024	**(12,651)**	**(5,873)**	**(18, 524)**	**(541,536)**
ნარჩენი ღირებულება				
იანვარი 1, 2023	**9,217**	**7,095**	**16, 312**	**745,844**
დეკემბერი 31, 2023	**10,986**	**8,434**	**19, 420**	**1,240,949**
დეკემბერი 31, 2024	**8,505**	**6,530**	**15, 035**	**1,652,410**

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს საოპერაციო საქმიანობის შედეგად მისაღებ თანხებს 2024: 35,759 ლარი, 2023: 54,262 ლარი, 2022: 48,831 ლარი). სავაჭრო მოთხოვნები ნომინირებულია ქართულ ლარში.

9. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ფული საბანკო ანგარიშებზე, ლარში	32,779	32,931	18,721
ფული საბანკო ანგარიშებზე, დოლარში	7,875	5,320	829
სულ	**40,654**	**38,250**	**19,550**

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები განთავსებულია ბანკებსა და ფინასური ინსტიტუტებში, რომლებსაც Fitch- ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ შეფასებები BB- (გრძელვადიანი რეიტინგი) და B (მოკლევადიანი რეიტინგი). კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

კომპანია მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაგენტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

10. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები:

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
წინასწარ გადახდილი საშემოსავლო და საპენსიო	26,993	3,631	8,075
წინასწარ გადახდილი დღგ	30,889	15,289	15,702
გადასახდელი ქონების გადასახადი	(420)	(1,970)	(581)
სულ	**57,462**	**16,950**	**23,196**

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შედგება:

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	3,341	5,875	8,093
სახელფასო და სხვა დავალიანება თანამშრომელთა მიმართ	15,151	11,434	10,653
სულ	**18,492**	**17,309**	**18,746**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი. კომპანიას გააჩნია რისკების მართვის პოლიტიკა, იმისთვის, რომ შესაძლებელი იქნეს ვალდებულებების დროული გადახდა.

12. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები.

საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ

დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2024 წლის დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანის არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშიღებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

13. ფინანსური რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით.

საოპერააციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციაა შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დავიდეს.

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნებიარის რისკების ლიმიტების დადგენა, და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების საფრთხე ამ ლიმიტის ფარგლებში დარჩეს.

ფინანსური რისკი მოიცავს:

- საკრედიტო რისკს;
- საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით), და
- ლიკვიდურობის რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და საიჯარო, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. წილობრივ ინსტრუმენტებში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები და ფული და ფულის ეკვივალენტები. ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს.

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
გაცემული სესხები	31,570	29,062	26,562
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	35,795	54,242	48,831
ფული და ფულის ეკვივალენტები	40,654	38,250	19,550
სულ ფინანსური აქტივები	**108, 019**	**121, 554**	**94, 943**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,492	17,309	18,746
სულ ფინანსური ვალდებულებები	**18,492**	**17,309**	**18,746**

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯფუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის

საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, საკონტრაქტო აქტივებიდან, გაცემული სესხებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანიის საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი სახელმწიფო ორგანოა თუ კერძო იურიდიული, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა კომპანიაში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას.

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	35,795	54,242	48,831
ფული და ფულის ეკვივალენტები	40,654	38,250	19,550
სულ	**76,449**	**92,493**	**68,381**

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს გადაუხდელი სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზს და მიჰყვება ვადაგადაცილებულ ბალანსებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიანობას. კომპანიის ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიის დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება. შემდეგი ცხრილები შედგენილი იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს.რომელიც გულისხმობს უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკს.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დოლარში:

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,875	5,320	829
სულ ფინანსური აქტივები	**7, 875**	**5,320**	**829**

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი განხორციელებულია დაკავშირებულ მხარეებთან;

ოპერაციები ხელმძღვანელობასთან

ხელმძღვანელობამ 2024 და 2023 წლების განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება:

	2024	2023
ხელმძღვანელობის ხელფასები და ბონუსები	79,535	68, 107

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს “საქმე.ჯი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1.ინფორმაცია კომპანიის შესახებ

საქმე.ჯი (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია 2017 წლის 29 მარტს.
მშობელი კომპანიის დამფუძნებლები და საბოლოო მესაკუთრეები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომაროებით წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	მფლობელობა %
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ლემონდუ გროუს კაპიტალი, 405196817	30%
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ნიუსრუმი, 404877941	70%

კომპანიის გენერალური დირექტორი საანგარიშგებო პერიოდში არის ნიკოლოზ ჯაფარიძე.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: საიტზე განცხადებებისა და რეკლამების განთავსება.

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

კომპანია ახორციელებს მომსახურეობას საქართველოს მასშტაბით, თუმცა კომპანიისის გაყიდვების დიდი ნაწილი მოდის თბილისზე.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ძირითადი კოეფიციენტები:

	2024	2023
სულ შემოსავალი	**2,878,462**	**2,422,402**
სულ აქტივები	**1,833,603**	**1,400,863**
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	35	35
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი*	634%	516%
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი*	633%	516%
დებიტორების ბრუნვადობა	15.98	11.75

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „საქმე.ჯი“ პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 33-დან 37-მდე. კომპანიაში საერთო დასაქმებულების საშუალო რაოდენობა 2023 წელს შეადგენდა 35-ს (2022: 31). კომპანიას აქვს კარგად განსაზღვრული დასაქმების პოლიტიკა და არჩევს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატებს.

როგორც დამქირავებელი, პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს ეძლევათ

კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობა, საქმიანი სამუშაო გარემო და კონკურენტუნარიანი ხელფასი.

ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი განხორციელებულია დაკავშირებულ მხარეებთან.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანიამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

2.სუბიექტის განვითარების გეგმები

საქმე.ჯი გეგმავს მომსახურების ქსელის მიმართულებით განვითარებას. კვლავინდებურად დაგეგმილია არსებული შეთავაზებების სრულყოფა, რომელიც მოიცავს განცახედებების და რეკლამირების პრემიუმ პაკეტების გადახედვას, ფუნქციების გაზრდასა და შესაბამისად ფასების ოპტიმალურად გაზრას.

3.კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

4.ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

5.წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

საანგარიშგებო პერიოდის და შესადრისი პერიოდის განმავლობაში ადგილი არ ქონია მნიშნველოვან ცვლილებებს რომლებიც საჭიროებს წარდგენას

6.ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები	2024	2023
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,694	3,736
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	33.8	30.5
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	9,141.4	8,210
მშპ-ის რეალური ზრდა, %	9.4%	7.5%
საშუალო წლიური ინფლაცია	1.1%	2,5%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,333.8	1,595
უმუშევრობის დონე, %	13.9%	16.4%

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს

ფულს საბანკო ანგარიშებზე, გაცემულ სესხს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე და მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სექტორში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია კლიენტებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და შესაბამის პოლიტიკაზე. მიმდინარედ კომპანიამ შეწყვიტა რეალიზაციასთან დაკავშირებული ოპერაციები და შესაბამისად მნიშვნელოვნად შეიმცირა საკრედიტო რისკი.

საკრედიტო რისკის მართვა. სავაჭრო დებიტორული დავალიანება ძირითადად უკავშირდება კონტრაგენტებთან მომსახურების გაწევით.იმის გათვალისწინებით,რომ კომპანია შემოსავალს იღებს უშუალოდ საიტზე მომხმარებლების მიერ შეთავაზების შეძენის შედეგად — რაც ნიშნავს, რომ გადახდა ხდება მყისიერად, კომპანიას პრაქტიკულად არ აქვს საკრედიტო რისკი, ან მისი დონე მინიმალურია.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსისცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიას არ აქვს მატერიალური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში შესაბამისად სავალუტო რისკი კომპანიას მინიმუმამდე აქვს დაყვანილი

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეროვნულ ვალუტაში მოზიდული დაფინანსება დაკავშირებულია ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთთან და ამ განაკვეთის მნიშვნელოვანი ზრდა უარყოფითად მოქმედებს კომპანიის შედეგებზე. კომპანიას პერიოდის განმავლობაში არ აქვს და არ გეგმავს სესხის აღებას შესაბამისად კომპანიას არ უდგას საპროცენტო განაკვეტის რისკი

მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 29 სექტემბერს:

დირექტორი:
ნიკოლოზ ჯაფარიძე

მთავარი ბუღალტერი:
ნათია მუზაშვილი

ფულს საბანკო ანგარიშებზე, გაცემულ სესხს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე და მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სექტორში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია კლიენტებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და შესაბამის პოლიტიკაზე. მიმდინარედ კომპანიამ შეწყვიტა რეალიზაციასთან დაკავშირებული ოპერაციები და შესაბამისად მნიშვნელოვნად შეიმცირა საკრედიტო რისკი.

საკრედიტო რისკის მართვა. სავაჭრო დებიტორული დავალიანება ძირითადად უკავშირდება კონტრაგენტებთან მომსახურების გაწევით.იმის გათვალისწინებით,რომ კომპანია შემოსავალს იღებს უშუალოდ საიტზე მომხმარებლების მიერ შეთავაზების შეძენის შედეგად — რაც ნიშნავს, რომ გადახდა ხდება მყისიერად, კომპანიას პრაქტიკულად არ აქვს საკრედიტო რისკი, ან მისი დონე მინიმალურია.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსისცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიას არ აქვს მატერიალური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში შესაბამისად სავალუტო რისკი კომპანიას მინიმუმამდე აქვს დაყვანილი

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეროვნულ ვალუტაში მოზიდული დაფინანსება დაკავშირებულია ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთთან და ამ განაკვეთის მნიშვნელოვანი ზრდა უარყოფითად მოქმედებს კომპანიის შედეგებზე. კომპანიას პერიოდის განმავლობაში არ აქვს და არ გეგმავს სესხის აღებას შესაბამისად კომპანიას არ უდგას საპროცენტო განაკვეტის რისკი

მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 29 სექტემბერს:

დირექტორი:
ნიკოლოზ ჯაფარიძე

მთავარი ბუღალტერი:
ნათია მუზაშვილი